განმარტებითი ბარათი

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიზეზია საქართველოს კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმების ამოქმედება, რომლებიც უკავშირდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია კანონის დებულებების შესაბამისობაში მოყვანა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებელი საქართველოს კონსტიტუციის მთელ რიგ ნორმებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

უქმდება ნორმა, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილების, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ დებულება მტკიცდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის პრინციპად განისაზღვრა საქართველოს მთავრობისადმი დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება.

საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად საქართველოს პრემიერ–მინისტრი:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურისაგან იღებს შეტყობინებას სახელმწიფო უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის საერთაშორისო ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად საქართველოს მთავრობის მიერ მტკიცდება:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შეიარაღებაში არსებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის და საბრძოლო მასალის ნუსხა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სახელმწიფო პროგრამები

საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურს განესაზღვრა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულება.

კანონის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ფინანსური შედეგების წარმოშობას იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე